

Capacryl Fenster-Lack

წყალში ხსნადი ფანჯრის ლაქი პოლიურეთან-აკრილის ბაზაზე, გარე და შიდა სამუშაოებისთვის.



შპს „კაპაროლ ჯორჯია“
ფირმათა ჯგუფ DAW-ს სანარმო

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	გარემოსთვის უსაფრთხო, მზინვარე ლაქი კარებისა და ფანჯრებისათვის, გარე და შიდა სივრცეებში გამოსაყენებლად.
თვისებები	<ul style="list-style-type: none"> ■ წყალში ხსნადი ■ გარემოსთვის უსაფრთხო ■ ნაკლებსუნიანი ■ არა ნებვადი ■ ზედაპირის და კანტების შესანიშნავი დაფარვის უნარი ■ ელასტიური ■ ფანჯრების საყოფაცხოვრებო სანმენდი საშუალებების მიმართ მედეგი ■ დიფუზიის უნარით.
საღებავის ბაზა	პოლიურეთან-აკრილის დისპერსია.
შეფუთვა	750 მლ, 2.5 ლ.
ფერი	თეთრი
სიპრიალის ხარისხი	პრიალა
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას. ორიგინალურ დახურულ შეფუთვაში შენახვის ვადა 12 თვე.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.2 გ/სმ ³

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	დაგრუნტული კარები და ფანჯრები, ასევე მყარი PVC (პოლივინილქლორიდი) და ძველი მზიდუნარიანი დანაფარები. განსაზღვრული ზომის ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკეველი ნივთიერებებისაგან.
------------------------------	---



ზედაპირის მომზადება

ხის ელემენტები:

ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ზასრი კანტები დაიშლიფოს.

მყარი PVC:

მოიხვეწოს ამიაკის შემცველი საწმენდი საშუალების გამოყენებით.

ძველი შეფერადებული ხე:

ძველი მზიდუნარიანი დანაფარები გაიშლიფოს, გაიწმინდოს ტუტეთი. არამზიდი დანაფარები მოცილდეს სრულად ხის ზედაპირამდე.

დატანის მეთოდები

რეკომენდაციები შეფრქვევით დატანისას:

მეთოდი	საფრქვევის დიამეტრი	ჭაღის წნევა	ჰაერის წნევა	გაზავება
Airless	0,011–0,015 ინჩი	200 ბარი	-	მაქს. 5%
Airmix/Aircode	0,011–0,015 ინჩი	120 ბარი	2,5 ბარი	ქარხნული კონსისტენცია
Finecoat	1,8–2,2 მმ	-	დაახლ. 0,5 ბარი	მაქს. 5%
მაღალი წნევით	1,8–2,2 მმ	-	5,0 ბარი	მაქს. 5%

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაჟღენთვა	გრუნტი	შუალედური ფენა	საბოლოო ფენა
ხე, ხისგან ნაწარმოები მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს / გაიწმინდოს	-	Capacryl Holzschutz-Grund ან Capacryl Holz-IsoGrund ¹⁾	საჭიროების შემთხვევაში Capacryl Fenster-Lack	Capacryl Fenster-Lack
ხე	ექსტერიერი	BFS Nr. 18	Capacryl Holzschutz-Grund	Capacryl Holzschutz-Grund ან Capacryl Holz-IsoGrund ¹⁾	Capacryl Fenster-Lack*	
მყარი PVC	ინტერიერი/ექსტერიერი	BFS Nr. 22	-	Capacryl Haftprimer	-	
საღებავის მზიდი დანაფარი	ინტერიერი/ექსტერიერი	ზედაპირის გაუხეშება / ტუტეთი მონმენდა	- ²⁾	Capacryl Haftprimer ²⁾	-	

*) ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტებზე საჭიროა 2 შუალედური ფენის დატანა, BFS Nr. 18 სტანდარტის შესაბამისად.

1) წყალში ხსნადი ნივთიერებების შემცველ ხის ჯიშებზე ყოველთვის გამოიყენეთ Capacryl Holz-IsoGrund-ი. კოჭრების ადგილები დაამუშავეთ 2-ჯერ.

2) დაზიანებული ადგილები დაამუშავეთ და დაგრუნტეთ არსებული ზედაპირის შესაბამისად.

მასალის მომზადება

მითითება: ფხვნილოვან ან Coil-Coating-საფარზე მოახდინეთ საცდელი დატანა ადჰეზიის შესამოწმებლად.

Capacryl Fenster-Lack-ი შესაძლებელია დატანილი იქნას ფუნჯით, გორგოლაჭით და საჰაერო მიფრქვევით. კარგად ამოურიეთ გამოყენებამდე და საჭიროების შემთხვევაში გაათხელეთ მაქს 5% წყლით.

ხარჯი

დაახლ. 100–130 მლ/მ²/ერთ ფენაზე.

ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა:

მინიმალური ტემპერატურა: +8°C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში	მტვერის მიმართ მედეგი	მომდევნო ფენის დატანისთვის მზად	საბოლოოდ გამშრალი
საათები	1-2	10-12	48

უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის და სქლად დატანის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.

ხელსაწყოები

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.

შენიშვნები

<p>ყურადღება</p>	<p>მოარიდეთ ბავშვებს. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრომის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.</p> <p>შეიცავს 1,2-ბენზოთიაზოლ-3(2H)-ონ, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.</p>
<p>უტილიზაცია</p>	<p>მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.</p>
<p>აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)</p>	<p>პროდუქტის კატეგორია (A/d): 130 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 120 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).</p>
<p>პროდუქტის კოდი საღებავები და ლაქები</p>	<p>M-LW01</p>
<p>შემადგენლობა</p>	<p>პოლიმერული აკრილის ფისი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, გლიკოლი, გლიკოლეთერი, ადიტივები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზოთიაზოლინონი).</p>
<p>ტექნიკური კონსულტაცია</p>	<p>მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.</p> <p>დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.</p>